ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 26 ივნისი 1996 № 59 (284) ფასი 30 თეთრი



ზურაბ მეძველია
ლონდონიდან

## ვენდოთ ინგლისელ ბუქმეიქერებს?

როგორ მოემზადა გერმანია ნახევარფინალისთვის, დღეს გამოჩნდება, აი, გერმანიის ლონდონის საელჩო კი მაგრად დაუხვდა ინგლისის ბულვარულ პრესას. „დეილი მირორი“ ჯერ ხეირიანად გაყიდული არც იყო, საელჩოს მდივანმა შემდეგი განცხადება რომ გაავრცელა: „ამ გაზეთს ცუდი გემოვნება აქვს. ომი და ფეხბურთი სრულიად სხვადასხვა რამაა. მეორე მსოფლიო ომი გერმანელი ხალხისთვის მტკივნეული გასახსენებელია და რაღა საჭიროა ნატკენის გვემა.“ იმავე დღეს ბრიტანეთის ბონის საელჩოს წარმომადგენელმა ლამის ბოდიში მოიხადა ამგვართა გამო, თუმცაკი დასძინა, ასეთი წერილები მარტო გერმანიაზე როდი დაიბეჭდა, თან ამ გაზეთების სპეციფიკაც ხომ გასათვალისწინებელიაო. მოკლედ, გერმანია ესპანეთი არაა, ის უფრო დიდი ძალაა ფეხბურთშიც და პოლიტიკაშიც. ამიტომაც დღევანდელი ინგლისური პრესა შედარებით თავშეკავებულია. გუშინ კი... ასობით აქაურმა გერმანელმა მოსახლემ დარეკა პრესის მიმართ პრეტენზიების კომიტეტში (ასეთიც ყოფილა) და „სანის“ და „დეილი მირორის“ გაკიცხვა ისურვა. აქ არ შეგაწყენთ ვრცელი ციტატებით იმ „ავადსახსენებელი“ წერილებიდან, უბრალოდ, გაუწყებთ იმას, რაც ამ გაზეთების პირველ გვერდებს ამშვენებდა:

„სანი“: ფრიცებს ბლიცკრიგი მოვუწყოთ!

„დეილი მირორი“: ახტუნგ, დაგვნებდით! ფრიცებო, თქვენთვის ევრო-96 დამთავრებულია.

– დანებებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემთვის მოულოდნელად აქაურ ტოტალიზატორებში ამ წყვილში ფავორიტად ინგლისია მიჩნეული. ეს კი არა, თვით ბეკენბაუერიც ფინალში გასვლას ინგლისს უწინასწარმეტყველებს. არადა, 1966 წლის ფინალის შემდეგ ეს გუნდები 13-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ცხრაჯერ გერმანიამ მოიგო (ორი ფრე, ორშიც ინგლისმა იმარჯვა). გუშინაც, პირველი რაუნდი გერმანიისა იყო, როცა გუნდების წარმომადგენლებმა კენჭი ყარეს — ვის ეთამაშა თეთრი ფორმით. ამ შედეგმა საგონებელში ჩააგდო ინგლისი, რადგან მეორე ფორმა ნაცრისფერი აქვთ, ისეთი, ამ სეზონში ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ოთხჯერ რომ ითამაშა და ოთხჯერვე წააგო. სწორედ მაშინ იყო, მანჩესტერელებმა უარი რომ თქვეს ასეთ ფორმაზე და განაცხადეს, მოთამაშეებს მოედანზე ერთმანეთის პოვნა უჭირდათ ასეთი უსახური მაისურების გამოო. პრესამ ინგლისელებს მოუწოდა, წითელი ფორმით ეთამაშათ, როგორც 1966 წლის ფინალში, მაგრამ უეფამ უმალ მოსპო ეს იმედი ფორმის ფერის შეცვლის უფლება არავის აქვსო. ახლა ყველა იმასღა იხსენებს, რომ ინგლისმა ასეთი მაისურებით ჩინეთი და ჰონკონგი დაამარცხა.

ვენეიბლზს, ცხადია, ეს პრობლემა ნაკლებად აწუხებს. მას ამჟამად ოთხი დაშავებული ფეხბურთელის ბედი აფიქრებს. ფოგტსიც მძიმე დღეშია. ყველა უბედურებასთან ერთად მას გუშინ ზამერის გამოთიშვაგებამაც მოუწია. ამ, ბევრის აზრით, გერმანიის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელს გერმანული პრესის კრიტიკა დაატყდა თავს იტალიასთან და ხორვატიასთან მატჩებში დაშვებული შეცდომებისთვის. ფოგტსმა აღიარა, რომ ზამერი რამდენჯერმე მართლაც შეცდა, მაგრამო, თქვა, ზამერიც ისეთივე ცოცხალი ადამიანია, როგორც თქვენ, შეცდომები კი თვით იმ ფრანც ბეკენბაუერსაც მოსდიოდა, ახლა კაიზერად რომ იწოდებაო.







შაბათ დილით გამოცხადდა, რომ ფინალურ მატჩს იმსაჯებს 43 წლის იტალიელი ვეტერინარი პიერლუიჯი პაირეტო. რაც შეეხება ნახევარფინალებს, საფრანგეთისა და ჩეხეთის მატჩს შოტლანდიელი მოტრემი წარუძღვება, „ტიტანთა ბრძოლას უემბლიზე“ კი უნგრელმა პულმა უნდა გაართვას თავი.

ზემოთ ტოტალიზატორების ფავორიტები ვახსენეთ. ინგლისი გერმანიაზე მაღლა კი დგას, მაგრამ მაინც მეორე, ვინაიდან ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად საფრანგეთი ითვლება. ამ გუნდის თამაშით სამშობლოში თითქმის ყველა კმაყოფილია, თუმცა ლეპენი რის ლეპენი იქნებოდა, ფრანგთა ეროვნულ გუნდში „ათასი ჯურის გადამთიელის“ მომრავლებაზე გული არ მოჰკვდომოდა.

ფრანგებთან შედარებით უკეთეს დღეშია ჩეხეთის ნაკრები, ვისგანაც ასეთ წარმატებას სამშობლოშიც კი არ ელოდნენ. აკი თქვა კიდეც დუშან უჰრინმა: ჩემი ამბიცია უკვე დაკმაყოფილებულიაო. ჩეხთა მწვრთნელი კმაყოფილია, რომ მისი ბიჭები დღითიდღე უფრო სერიოზულად ეკიდებიან საქმეს: „იტალიასთან მოგების მერე ფეხბურთელები დილამდე სვამდნენ, პორტუგალიასთან გამარჯვების აღსანიშნავი ქეიფი კი მხოლოდ ღამის 2 საათამდე გაგრძელდა. მოკლედ, ჩეხები იშტაზე მოვიდნენ, რასაც ეს ამბავიც მოწმობს: გავრცელდა ცნობა, ჩეხეთის ნაკრების ათამდე ფეხბურთელი მძიმედაა დაშავებულიო. ბოლოს გაირკვა, რომ ეს ხუმრობა ყოფილა. თურმე, პაველ ჰაპალი, ჩემპიონატის დაწყებამდე 2 კვირით ადრე რომ დაიმტვრა და შემადგენლობაში რაღას მოხვდებოდა, ინგლისში მაინც წამოუყვანიათ ყავარჯნებით. ესაც დიდი ანგლი ვინმე ყოფილა, ხან ვის ამოსჩარა თავის ყავარჯნები, ხან ვის, ჟურნალისტებმაც ბარე 20 „ხეიბარი“ ჩეხი დაითვალეს და...

## ინგლისურ დღიურში ბევრი ჩანაწერია

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ეროვნული ნაკრების თავკაცმა ალექსანდრე ჩივაძემ და ახალგაზრდულის დამრიგებელმა ვლადიმერ გუცაევმა პრეს-კონფერენცია გამართეს. მწვრთნელთა და ჟურნალისტთა ეს გაბაასება კალმოსანთა სიმრავლით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა. პრეს-კონფერენცია მოკლე შესავლით გახსნა ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსმა ნოდარ კობერიძემ და ისიც თქვა, რომ სასურველი კია ასეთი შეხვედრების უფრო ხშირად გამართვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მწვრთნელების ამჟამინდელი გადატვირთული სამუშაო გრაფიკი ამის საშუალებას არ იძლევაო. ალექსანდრე ჩივაძემ და ვლადიმერ გუცაევმა უპირველესად ინგლისური შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს.

ჩივაძისა და გუცაევის ინგლისში მივლინება ცნობილი საშუამავლო კომპანიის „ტელესპორტის“ დახმარებით მოხდარა. ეს ფირმა ცნობილ ტელეკომპანიებთან თანამშრომლობს და, ბუნებრივია, ჩვენი ეროვნული ნაკრების მონაწილეობით გასამართი მატჩების ტელეტრანსლაციის უფლების ყიდვა-გაყიდვაში თავის წილს იღებს. მოკლედ, ნაკრებთა მწვრთნელების „ინგლისური ხარჯები“ ამ კომპანიას უკისრია.

ჩივაძე და გუცაევი ლონდონში დაბინავებულან და იქიდან მატარებლით მგზავრობდნენ ლონდონში, ბირმინგემში, ლივერპულსა და მანჩესტერში, სადაც იტალიის და ინგლისის ნაკრებები თამაშობდნენ. პირველმა სიტყვა ალექსანდრე ჩივაძემ აიღო:

— ბუნებრივია, ინგლისში იმიტომ ჩავედით, რომ უშუალოდ გვენახა ჩვენი მომავალი მეტოქეების თამაში. იტალიით დავიწყოთ. ჩემი აზრით, იტალიელები ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტები იყვნენ. მათ კარგად ითამაშეს პირველ მატჩში რუსებთან, შემდეგ კი, მომდევნო შეხვედრაში ჩეხებთან, საკიმ რატომღაც ერთბაშად ოთხი ახალი ფეხბურთელი დააყენა. ამით მან საყოველთაო კანონი დაარღვია — გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიან. და მაინც, მარცხის მიუხედავად, იტალიელებმა საკმაოდ ძლიერად ითამაშეს. ამის მაგალითად თუნდაც მათი და გერმანელების მატჩი გამოდგება. სენსაციური წარუმატებლობამ საკის ბევრი კრიტიკა დაატეხა თავს, მაგრამ, როგორც მერე თავად აღნიშნა, არაფერიც არ მოხდებოდა, კაზირაგის ჩეხებთან მატჩის ბოლო წუთზე გოლი რომ გაეტანა. მოკლედ, იტალია ძალიან ძლიერი გუნდია და, მიუხედავად იმისა, რომ მათ რიგებში ალბათ სერიოზული ცვლილებები მოხდება, ისინი შეეცდებიან, კარგად მოემზადონ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის და ყველას ლაუმტკიცონ, რომ ეს წარუმატებლობა შემთხვევითი იყო.

იტალიელთაგან განსხვავებით, ინგლისელებმა შემადგენლობის შეცვლაზე თავი შეიკავეს და ქვეჯგუფში ყველა თამაში სტაბილური შემადგენლობით ჩაატარეს. მათ კარგი გუნდი ჰყავთ. ისინი 4-4-2 ტაქტიკური სისტემით თამაშობენ. ნახევარდაცვაში გამოირჩევა გესკოინ-მაკმანამანის დუეტი, ამ ორს ყოველთვის შეუძლია თამაშის გაძღოლაც და შემობრუნებაც. ძლიერად თამაშობენ თავდამსხმელები შერინგემი და შირერი, რომელთა ძალა ხელწამოსაკრავი არ არის, აგრეთვე ინსი, ანდერტონი, საუთგეიტი. ამ უკანასკნელს წარმატებით შეუძლია ითამაშოს როგორც დაცვაში, ისე ნახევარდაცვაში. არ უნდა დავივიწყოთ ანდერტონი, რომელიც, მართალია, დანარჩენებივით არ ბრწყინავს, მაგრამ უდიდეს სამუშაოს ასრულებს და, ფაქტიურად, მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე ნახავთ. რაც მთავარია, ინგლისელებს ჰყავთ ძლიერი მეკარე. საერთოდ, მეკარე ყველა გუნდს კარგი ჰყავდა, მაგრამ სიმენის თავდაჯერება, სიმშვიდე და საიმედო თამაში მთელ გუნდს გადაედებოდა ხოლმე და ისინიც გაორმაგებული ენერგიით იბრძოდნენ.

პირველი ტურის შემდეგ იტალია, გერმანია და პორტუგალია გამოირჩეოდნენ, მაგრამ მერე და მერე სანახაობრივმა მხარემ მეორე პლანზე გადაინაცვლა და ყველაფერი საბოლოო შედეგის მიღწევას დაექვემდებარა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ჩემპიონატზე უფრო მეტი ყურადღება კოლექტიურ თამაშს ექცევა, ინდივიდუალურად ძლიერი შემსრულებლები კი, ისეთი, როგორიც კლინსმანია, ერთეულები არიან. ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მწვრთნელი შეეცვლება. ახალი მთავარი მწვრთნელი გლენ ჰოდლი ყოველთვის გამოირჩეოდა იმპროვიზაციისადმი ყურადღებით, ეს მისი, როგორც მოთამაშის თვისებაც იყო. იგი ევროპული ყაიდის ფეხბურთელი უფრო იყო, ვიდრე ტრადიციული ბრიტანულისა. ერთი სიტყვით, იტალიის და ინგლისის სახით ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს.

საერთოდ, ევროპის ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ 4-4-2 და 4-5-1 ტაქტიკური ვარიანტები პირობითია. ნებისმიერ გუნდში ათივე ფეხბურთელი იმას ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად წაართვას მეტოქეს ბურთი და ახევე სწრაფადვე გადავიდეს შეტევაზე. ეს, ერთი შეხედვით, ადვილი და მარტივია, მაგრამ დიდ ფიზიკურ მზადყოფნას მოითხოვს. ჩემპიონობას მოიპოვებს ის, ვისაც მეტი უნივერსალური მოთამაშე ეყოლება, მაგალითად, ისეთი, როგორიც გერმანელი ზამერია. ის შეიძლება დაცვაში ვერ იყოს ძალიან ძლიერი, მაგრამ უდრეკად შრომატევად სამუშაოს ასრულებს და შედეგიც მოაქვს.

რაც შეეხება მსაჯებს, ისინი ნამდვილად ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე, ძალიან უხეშად ცდებიან. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, რუმინეთ — ბულგარეთის მატჩი თუ ინგლის — ესპანეთისა. ან ამდენი ყვითელი ბარათი... მოგეხსენებათ, პირველ ნახევარფინალურ მატჩში ფრანგები და ჩეხები ხვდებიან. მართალია, ფრანგები სანახაობრივად ლამაზ ფეხბურთს არ თამაშობენ, მაგრამ მათი დამარცხება ძალზე ძნელია, ჩეხები კი ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ — მათი სამი წამყვანი მოთამაშე გამოტოვებს ამ მატჩს, მაგრამ მათგან მაინც ბეიბლს გამოვარჩევდი, რომელიც ჩეხებს ნახევარფინალში ძალიან დააკლდებათ.

მეორე ნახევარფინალს ინგლისში 30 წლის წინანდელი თამაშის გამეორებად თვლიან. ბევრს ლაპარაკობდნენ ტოფიკ ბახრამოვის მიერ ჩათვლილ გოლზეც, რომელიც არ უნდა ჩათვლილიყო. აღსანიშნავია, რომ ყოველი ტურის შემდეგ ნებისმიერ სადაო მომენტს და თამაშსაც კომენტარს ურთავენ ცნობილი სპეციალისტები — ფერგიუსონი, ჩარლტონი, გულიტი და სხვები.

ამის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძემ ეროვნული ნაკრების მომავალ გეგმებზე ილაპარაკა.

— ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა გადატვირთულია ეს წელიწადი ევროპული თასებით და შესარჩევი თამაშებით. ამიტომაც ფიფა ადგენს კალენდარს, რომლის მიხედვითაც ეროვნულ გუნდებს შეუძლიათ გარკვეულ დღეებში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების გამართვა. ასეთი დღე გახლავთ 1 სექტემბერი, როცა ჩვენ ნორვეგიელებს შევხვდებით. ნორვეგიის ნაკრები საკმაოდ სოლიდური გუნდია. ჩვენთვის ეს იქნება გენერალური რეპეტიცია იტალიელებთან შეხვედრის წინ. შეიძლება შემოგვედავონ, ნუთუ სხვა დღე არ არის საკონტროლო თამაშების გასამართადო, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ამ დროიდან გუნდები სეზონისწინა სამზადისს შეუდგებიან და ჩვენს ლეგიონერებს ამ დროს არ გამოუშვებენ. ისე, ვისი ნახვაც საქმეში გვსურდა, უკვე გამოვცადეთ. პრობლემა ისიც, რომ ნაკრების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ-ჯერობით უგუნდოდ არის. მართალია, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ჯერჯერობით ესაც გვაფერხებს. მოკლედ, მთავარი ეტაპი ახლა გვეწყება და დიდი მონდომება და შრომა გვართებს. არაფერს ვიტყვი მხარდაჭერაზე.

ამის შემდეგ ჩივაძეს რუმინეთში სამარცხვინოდ და საბერძნეთში „ჩვეულებრივად“ წაგებულ თამაშებზე დაეკითხნენ, რაზეც ჩივაძემ ასე უპასუხა:

— საბერძნეთში წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით, მაგრამ იყო რაღაც-რაღაც მომენტები, ობიექტურ-სუბიექტური, რომლებმაც დამარცხებამდე მგვიყვანა. რაც შეეხება რუმინეთში წაგებას, ეს იყო გაკვეთილი ჩვენი ფეხბურთელებისთვის. ჩვენ მას მკაცრი შეფასება მივეცით. ფეხბურთელებმაც საკმაოდ ობიექტურად შეაფასეს პრესის ფურცლებზე. საერთოდ, ნაკრებში თითოეულმა სხვა შემართება და მხნეობა უნდა გამოიჩინოს. გარწმუნებთ, მსგავსი არ შეიძლება განმეორდეს, მაგრამ თუ მაინც მოხდა, მაშინ მწვრთნელების და ფეხბურთელების ერთად მუშაობა არ შეიძლება. სიტუაციას რეალურად ვაფასებთ და ვეცდებით ყველაფერი ისე წარვმართოთ, ყველას რომ გაუხარდება.

ბოლოს ალექსანდრე ჩივაძემ რუსულ პრესაზე ცოტა არ იყოს, წყრომით ილაპარაკა და ნათქვამს ირონიაც დაურთო. შეგახსენებთ, რომ იქაურმა „სპორტ-ექსპრესმა“, ჯერ იყო და, ისეთი რამ მიაწერა, რაც არ უთქვამს, ახლაც კი კვლავ იგივე გამეორებულა: ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთ რუს ჟურნალისტს გაუჩალიჩებია ბერზოტთან ინტერვიუ, რომელშიც თურმე ცნობილ იტალიელ მწვრთნელს ამჟამინდელი რუსეთის ნაკრები დაუწუნებია. თან უთქვამს, იმდროინდელი, „სოიუზის“ ნაკრები გაცილებით ძლიერი გუნდი იყო ქართველების, უკრაინელების და სხვათა მეშვეობითო. ახლა კი თქვენიც სუსტია და იმათიცო. მერე იმ ჟურნალისტს ამ საკითხზე კომენტარი ვითომ ჩივაძისთვის უთხოვია, ჩივაძეს კი, მისი ნაწერით, ასე უთქვამს, ბერზოტს საფრანგეთში ვნახავ და მოკითხვასაც იქ გადავცემო.

— ღმერთი-რჯული-ხატი, ასეთი ჟურნალისტი იქ ჩემთან არ მოსულა და მსგავსი რამ არ მითქვამსო, დაიფიცა ჩივაძემ და საუბარი ამით დასრულდა.

ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმაც ჯერ ევროპის ჩემპიონატზე ისაუბრა:

— ევროპის ჩემპიონატი დიდი საფეხბურთო ფორუმია და მასზე დასწრება დიდად შთამბეჭდავია. იქ მოთამაშე ფეხბურთელებს რომ თავი გავანებოთ, ისეთი გამოჩენილი ხალხი იყრის თავს, როგორებიც ბეკენბაუერი, ზეელერი, კაპელო, ბერზოტი, ეუსებიო და სხვები არიან.

გუცაევმა ჩვენი ახალგაზრდული გუნდის შესახებ შემდეგი მოგვახსენა:

— ქვეჯგუფში იტალიის, ინგლისის და პოლონეთის სახით სერიოზული და ძლიერი მეტოქეები გვყავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი ტრადიციული საფეხბურთო ქვეყნები არიან. იტალიელებზე და ინგლისელებზე რაღაც ინფორმაციები გამაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ამ ჩემპიონატზე ახალგაზრდული ნაკრების წევრები ერთეულები თუ ჰყავთ. რაც შეეხება პოლონეთს, მათი ახალგაზრდული გუნდის თამაში შარშან ვნახე, წელს კი რას წარმოადგენს ეს გუნდი, ამის თქმა საძნელოა. პირველ სექტემბერს კიშინიოვს ინგლისელები ესტუმრებიან. ჩვენ დავესწრებით მათ თამაშს და ორივე გუნდზე ამომწურავ ინფორმაციას მოვიპოვებთ.

კითხვაზე, ნაკრებში ახალი გვარები თუ გამოჩნდებაო, გუცაევის პასუხი ასეთი იყო:

— მოგეხსენებათ, რომ უკრაინაში მოთამაშე ფოცხვერიამ, რომელმაც დონეცკის „შახტიორთან“ კონტრაქტზე მოაწერა ხელი, ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან ვლადიმერ პანოვთან საუბარში ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა. ბულგარეთში მოთამაშე მეკარე სერგო ჭურაძეც საკმაოდ კარგად გამოიყურება. მას ადგილობრივი პრესაც აქებს, ასე რომ, ორივეს უახლოეს შეკრებაზე გამოვიძახებთ და შეიძლება 11 აგვისტოს, თბილისში, უკრაინასთან შეხვედრაში ორივე ვათამაშო.

საკონტროლო მატჩს 3 სექტემბერსაც ჩავატარებთ კიევში, უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთან. მოლაპარაკება მქონდა რუსეთის ნაკრების მწვრთნელ მიხეილ გერშკოვიჩთან, რომელმაც მითხრა, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ვითამაშოთო. მოკლედ, სპარინგ-პარტნიორები გვყავს, პერსპექტივაც არის, დანარჩენი კი ჩვენზეა დამოკიდებულიო, დაასკვნა საბოლოოდ გუცაევმა.

ეს იყო და ეს, მეტი არაფერი თქმულა. მიპრძანებისთვის მადლობა მოგვახსენეს და პრეს-კონფერენცია დახურულად გამოცხადდა.

**მამუკა კვანტალიანი**

GOALIATH ანონსი



ინგლისი - გერმანია

დავით კაკაბაძე
ლონდონიდან

GOALIATH ანონსი

საფრანგეთი - ჩეხეთი

ზურაბ ფოცხვერია
ლონდონიდან

# ფოგთსმა ქართველები ჩაგვიშვა

ნახევარფინალში ინგლისელებთან საბრძოლველად გერმანიის გუნდი გუშინ ლონდონში ჩამოვიდა და სასტუმრო „ლენდმარკში" დაბინავდა. აქვე ბერტი ფოგთსმა პრეს-კონფერენციაც გამართა:

— ბობიჩი ჩემპიონატში ველარ ითამაშებს. იგი შტუტგარტში გაფრინდა, სადაც ცნობილ პროფესორ ჰაბერმაიერთან მივა და იგი დაადგენს, საოპერაციოა მისი მხარი თუ არა. თუ საოპერაციო არ არის და ჩვენც ფინალში გავალთ, მაშინ ფრედი დაგვიბრუნდება, არა როგორც მოთამაშე, არამედ როგორც გულშემატკივარი. რაც შეეხება იურგენ კლინსმანს, თანამედროვე მედიცინის შესაძლებლობის მწამს და ვიმედოვნებ, რომ ექიმები სასწაულს მოახდენენ — თქვა მწვრთნელმა.

მას სიტყვა იურგენ კლინსმანმა ჩამოართვა:

— ინგლისელებთან ჩემი თამაში გამორიცხულია, მაგრამ თუ გავიმარჯვებთ, იქნებ ფინალში ვითამაშო. ძალიან მასიამოვნა „ტოტენჰემ ჰოთსფურიდან" ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელმა ტედი შერინგემმა — მან დამირეკა და გამოჯანმრთელება მისურვა.

კვლავ ბერტი ფოგთსი:

— ინგლისში 22 ფეხბურთელით ჩამოვედით, ახლა კი 19 ვართ. ეს კიდევ უფრო გვირთულებს ისედაც რთულ ამოცანას. ასეთ პირობებში აშკარა ფავორიტად ინგლისი მიმაჩნია, მაგრამ ფეხბურთი 90-წუთიანი თამაშია და ეს 90 წუთი ჯერ წინ გვიდევს. „უემბლიზე" ინგლისელთა წინააღმდეგ თამაში რასაც ნიშნავს, ყველას კარგად მოგეხსენებათ. 70 ათასი ინგლისელი გულშემატკივარი 7 ათასი გერმანელის წინააღმდეგ (აქ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ ვოლფგანგ ნირსბახმა იხუმრა, კიდევ კარგი, რუსი თანამსაჯი არ იქნებაო. იგი 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გერმანელთა კარში ბაქოელი ტოფიკ ბახრამოვის მიერ უსამართლოდ ჩათვლილ გოლს გულისხმობდა). ჩვენს მხარდასაჭერად ჩამოდის მთელი „ვერდერი", რაც ფრიად სასიამოვნოა. საინტერესო მდგომარეობა გვაქვს ყვითელი ბარათების მხრივ. კლინსმანს თუ არ ჩავთვლით, 7 ფეხბურთელია გაფრთხილებული, ასე რომ, ფინალში გასვლის შემთხვევაში გამორიცხული არაა, მთელი ძირითადი შემადგენლობა ვერ ვათამაშოთ. მეკარეებს კანსა და რეკს უკვე ვკითხე, რომელ პოზიციაზე გირჩევნიათ თამაში-მეთქი.

პირადად ტერი ვენეიბლზთან კარგი ურთიერთობა მაქვს. გუშინ მას გადავეცი სრული ინფორმაცია საქართველოსა და მოლდოვას შესახებ, არა მარტო საფეხბურთო, არამედ სხვაც: სასტუმროები, საკვები და ასე შემდეგ-

# ბლაჟევიჩი ნებით გადადგა

მიროსლავ ბლაჟევიჩი, ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი ევრო-96-ის მეოთხედფინალში გერმანიასთან დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან გადადგა — განაცხადა ორშაბათს ღამით ხორვატიის სახელმწიფო ტელევიზიამ.

წინა დღეს კი ხორვატულმა გაზეთებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ ბლაჟევიჩმა მძიმედ განიცადა მარცხი, ალბათ, პოსტს მიატოვებსო. თავად მწვრთნელმა ეს ვარაუდი დაადასტურა: „აშკარაა, რომ წარმატებას ვერ მივაღწიე და ამიტომაც მსურს გადავულოცო ჩემი ადგილი ვინმე სხვას."

თუმცაღა, 59 წლის ბლაჟევიჩი მეტად იმპულსურ და ემოციურ კაცად არის ცნობილი. ამიტომაც მისი განცხადება გადადგომის შესახებ წაგებიდან 24 საათში მოულოდნელი სულაც არ არის. მან ხორვატიის უმთავრესი გუნდი 1994 წლის მარტში ჩაიბარა, 16 მატჩში მოაგებინა და მხოლოდ სამჯერ დამარცხდა.

# ჩეხები — ჩვენი დროის უნგრელები

ემე ჟაკეს ჩეხებთან დღევანდელი ნახევარფინალის წინ პრობლემა გაუჩნდა — ვინ დააყენოს ორგაფრთხილებიანი კრისტიან კარემბეუს ადგილზე. ფრანგთა მწვრთნელს შემადგენლობა ოფიციალურად ჯერ არ დაუსახელებია, მაგრამ მისი „გენშტაბიდან" ინფორმაციამ მაინც გამოჟონა: ჟაკეს არ სურს კარემბეუს ნაცვლად დესაის წინ წაწევა. ამით დაირღვევა ნაკრების დაცვის ხაზი, თუმცაღა დესაი „მილანში" სწორედ რომ ნახევარმცველობასაა ჩვეული.

ამიტომაც ჟაკემ გადაწყვიტა, დღეს მოედანზე საბრი ლამუში გაიყვანოს. ეს კაცი საფრანგეთშია დაბადებული, ოღონდ მშობლები ტუნისელები ჰყავს. წლეულს ლამუში ეცადა, აფრიკის თასზე თავისი ისტორიული სამშობლოს ნაკრებში ეთამაშა, მაგრამ არ გამოუვიდა, რადგან ჟაკემ იგი ფრანგული დროშის ქვეშ დააყენა. აქამდე საბრის 6-ჯერ უთამაშია საფრანგეთის ნაკრებში და ერთი გოლიც გაუტანია.

სხვა ცვლილებებს ჟაკე არ აპირებს. ისევე, როგორც ჰოლანდიასთან, ამჯერადაც ერთი თავდამსხმელით — პატრის ლოკოთი დაიწყებს თამაშს. ბოლოჯერ ფრანგები და ჩეხები ერთმანეთს 1994 წელს ბორდოში შეხვდნენ. ყოფილი სოციალისტები 2:0 იგებდნენ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ზინედინ ზიდანმა ორი გოლით აღნიშნა საერთაშორისო დებიუტი. ჟაკე ნახევარფინალის წინ შეფიქრიანებულია: „სავსებით დასაშვებია, რომ ჩეხებმა სატკივარი გაგვიჩინონ. ეს ნაკრები 60-იანი წლების უნგრეთს მაგონებს. ეს თამაში კი შეიძლება ხაფანგად იქცეს. ჩეხები მიიძინებენ და ჩვენ ცრუ თავდაჯერებულობის გრძნობას გაგვიჩენენ. შემდეგ კი შეგვიტევენ, როცა ჩვენი მცველები გულარხეინად იქნებიან. ეს გუნდი ამოუცნობია. ხანდახან ბრწყინვალედ და ინტენსიურად თამაშობს, ხანდახან კი — სრულიად საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ფინალში გავალთ. ერთადერთი, რაც შეიძლება შეგვეშალოს, ესაა — არ ვითამაშოთ ისეთი სტილით, როგორითაც აქამდე ვთამაშობდით და მეტოქის ძალები ბოლომდე არ შევაფასოთ.

ჩეხთა მწვრთნელი დუშან უჰრინი თავის ფრანგ კოლეგაზე გაცილებით უარეს დღეშია. თუკი მეტოქეს ერთადერთი კაცი ჰყავს შესაცვლელი, მას ამის გაკეთებამ ოთხჯერ უნდა მოუწიოს: „ნახევარფინალში დიდი პრობლემები გვექნება. ოთხი კაცი დისკვალიფიცირებულია, მაგრამ მჯერა, რომ მათი შემცვლელები თავს არ შეირცხვენენ." საფრანგეთის ნაკრებზე უჰრინი კარგი აზრისაა, არც კომპლიმენტებს იშურებს, მაგრამ ამბობს: „ ორი წლის წინ მათ 2:2 ვეთამაშეთ. არადა, 80 წუთს ვუგებდით. დღეს ჩვენ და საფრანგეთი ერთ დონეზე ვდგავართ, თუმცა, მეტოქეს მატჩის დაწყებამდე უკვე დიდი უპირატესობა აქვს. როცა ოთხი კაცი შესაცვლელი გყავს, თამაშიც სხვაგვარად უნდაააწყო. უეჭველია, ეს თავსატეხი ხელს შეგვიშლის:

მოგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში, პორტუგალიის წინააღმდეგ, რადეკ ლატალი მოედნიდან გააგდეს, ხოლო იან სუხოპარეკმა, რადეკ ბეიბლმა და პაველ კუკამ — მეორედ მიიღეს ყვითელი ბარათები.

ამიტომაც ისინი დღეს მოედანზე ვერ გავლენ. თუმცა, სუხოპარეკი ამას არ იმჩნევს, იმედიანადაა და თვლის, რომ ევრო-96-ზე კიდევ ითამაშებს: „ორგანიზატორებს ბოდიშს კი ვუხდი, მაგრამ მათ თავის შეწუხება მოუწევთ, რათა „უემბლიზე" ჩვენი ჩასვლა-დაბინავება უზრუნველყონ. ძალიან გთხოვთ, ნურაფერს გაიკვირვებთ. არც ჩვენ გვიკვირს, რომ ნახევარფინალში ვართ."

სავარაუდო შემადგენლობები:

საფრანგეთი: ლამა, ბლანი, ტურამი, ლიზარაზუ, დესაი, დეშამპი, ლამუში, გერენი, ჯორკაეფი, ზიდანი, ლოკო

ჩეხეთი: კოუბა, კუბიკი, კადლეცი, ჰორნიაკი, ნემეცი (ან ფრიდეკი), ნემეჩეკი, პობორსკი, ბერგერი, ნედვედი, დრულაკი, შმიცერი

# ისინი ცხოვრობენ!

## კუნძული თუ კონტინენტი?

თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით და ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალებიც კარს მოგვადგა. რა მოხდება დღეს? ვის ხვდება წილად პატივი, კვირას საქვეყნოდ ცნობილ „უემბლიზე" ფინალში ითამაშოს?

გარედანაა იოლი სალაპარაკო, თორემ რომ დავაკვირდეთ და ერთი წამით მონაწილეთა გუნება-განწყობის წარმოდგენა ვცადოთ, ვიგრძნობთ, თუ რა მნიშვნელობის მომენტი უდგათ. ეს ჩვენ, ომებს, შიმშილობას, უწყლობას, უდენობას, უზნეობას და სხვა უამრავ ჯანდაბასა და ოხრობას შეგუებული ქართველები გავხდით გულგრილნი, თორემ ისინი ძველებურად ცხოვრობენ სისხლსავსე ცხოვრებით, ადამიანური პრობლემებით და მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს ანსხვავებენ ერთმანეთისგან. დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, რამდენი ადამიანი თამაშობს ფეხბურთს ევროპაში და აშკარა გახდება, რას ნიშნავს ოცდაორი, მაქსიმუმ, ოცდარვა ბიჭისთვის დღეს მოგება და 30-ში ლონდონურ ფინალში მონაწილეობა. ეს ისეთი რამაა, მათ მთელს ცხოვრებას უმნიშვნელოვანეს ამბად რომ გაჰყვება და ასე ორმოცდაათი — სამოცი წლის მერე გარშემო მყოფთათვის ბებრულად აკანკალებული ხმით მთავარ მოსაყოლად რომ გადაექცევათ. მოდით, ამ წუთას ნუ გავიხსენებთ იმ თითო-ოროლას, დიდი შეჯიბრებების ფინალში რამდენჯერმე რომ გასულან. ამას დიდი ფეხბურთელობის გარდა იღბალიც სჭირდება, თორემ განა ცოტა გვინახავს ნამდვილი, ხალასი ვარსკვლავი, ასეთი რანგის მატჩში ერთხელაც რომ ვერ გაინავარდა?



მაშ ასე, დღეს უდაოდ დიდი დღეა, ორი საინტერესო მატჩი და კონტინენტის ფინალისტთა ვინაობის გარკვევა გველის. ჩემპიონატის მასპინძლები, ინგლისელები გერმანიას ხვდებიან. ტერი ვენეიბლზმა ამ შეხვედრას წინასწარ ტიტანთა ბრძოლა უწოდა. ტიტანთა ბრძოლისა რა მოგახსენოთ, ვფიქრობთ, ამ ჩემპიონატზე იტალია — გერმანიის უკვე ჩატარებულ თამაშზე ტიტანური არაფერი იქნება, მაგრამ აქაც დიდი ბრძოლა რომაა მოსალოდნელი, უეჭველია. ინგლისი, მიუხედავად ესპანელებთან „ჩრდილოვანი" მატჩისა, ალმავლობის გზაზეა და ალბათ დუელის ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ, გერმანელებს კი ჯერ ბაბელი და კოლერი დაუშავდათ, ახლა ბობიჩი და თვით იურგენ კლინსმანი გახდნენ საექიმო. აკი თავად ბერტი ფოგთსი ამბობდა, მეტოქეს შეუძლია მშვიდად იყოს, ჩვენთან აწი ალბათ იოლი შეხვედრა ელისო. ბუნებრივია, ფოგთსი ამის თქმისას ცოტათი ცულლუტობს. ვერ დავიჯერებთ, რომ გერმანელი კაპიტულანტურ ხასიათზე იყოს. ცხადია, მისი ფეხბურთელები მათიას ზამერის თავკაცობით ალბიონელებს დიდ ბრძოლას გაუმართავენ და თუ მაინც ინგლისი მოიგებს, საუბარია მინიმალურ და გაჭირვებით გამარჯვებაზე და არა ლაღ განადგურებაზე. მასპინძლები ალბათ თამაშის იშტაზე მოვლენ. ვფიქრობთ, გესქოინი გაიბრწყინებს, თუნდაც ორ-ხამ ეპიზოდში, რაც ასეთი მატჩისთვის დიდი საქმე იქნება. ალბათ უნდა ველოდოთ დაცვაში შეკრულ, მჭიდრო თამაშს. გერმანელთაგან მაინც. საბოლოოდ, ვფიქრობთ, ინგლისელთა გამარჯვება უფრო მოსალოდნელია, თუმცა, ფეხბურთი, მოგეხსენებათ, თავნება რამაა. ძველი ჭეშმარიტებაა, ათასჯერ ნათქვამი, რომ მას თავისი, ჩვენთვის შეუცნობი ლოგიკაც აქვს და, რაიმეს რომ ვარაუდობ, ესეც უნდა გაითვალისწინო. მეოთხედფინალში, მაგალითად, ტრადიციული ლოგიკის თანახმად, პორტუგალიის გასვლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ აგერ, ჩეხეთი გავიდა. მეორე მხრივ, ამგვარი მოულოდნელობები ხშირად არ ხდება. იმის თქმა გვსურს, რომ თუ მეოთხედფინალში ალოგიკურობა უფრო ლოგიკური იყო, ნახევარფინალში ლოგიკურობა უფრო ლოგიკურია. ისე კი, ინგლისი — გერმანია მაინც ისეთი თამაშია, რომ ვერც იმას იტყვი და ვერც ამას.

მეორე ნახევარფინალში კი ფავორიტი უფრო აშკარაა. საფრანგეთმა, წესით და რიგით, ჩეხებს უპრობლემოდ უნდა მოუგოს. რა იძლევა ასეთი განსჯის საფუძველს? ჯერ ერთი ის, რომ ჩეხთათვის ამ სტადიამდე გასვლაც დიდი ამბავია და ვფიქრობთ, გაცნობიერებლად თუ გაუცნობიერებლად, მათ გულში მთავარი ზეიმი პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ უკვე მოიწყვეს. გაიხსენეთ თუნდაც ის, რომ ჩეხ ნახევარმცველს შმიცერს ქორწილი 28 ივნისს ჰქონდა დანიშნული. განა ეს მეტყველი ფაქტი არაა? გარდა ამისა, მსაჯებისა და საკუთარი ზედმეტი ენთუზიაზმის (რაც, აგრეთვე, ზემოთქმულს ვვიდასტურებს) „შემწეობით", მათ ნახევარფინალში ოთხი ფეხბურთელი აკლდებათ. ჩეხთათვის ოთხი მოთამაშის დაკლება კი ლამის ტრაგედიაა. თავის მხრივ ფრანგებს კარემბეუ არ ეყოლებათ, მაგრამ მათთვის ამ მოთამაშის შეცვლა დაუძლეველი პრობლემა მაინც არ იქნება. მაშ, რამ შეიძლება ემე ჟაკეს გუნდს ავნოს? ფრანგულმა ხასიათმა? არა გვგონია, რადგან, ჯერ ერთი, კრისტოფ დუგარის ტრავმის შემდეგ ეთნიკურად ფრანგი ძირითად შემადგენლობაში დეშამპი, გერენი და ბლანიღა დარჩნენ. გარდა ამისა, ინგლისში ფრანგებს საკმაოდ გულ და სისხლცივი გუნდი ჰყავთ ჩაყვანილი. ამის დასტურად თუნდაც ჰოლანდიელებთან თავდაჯერებით შესრულებული პენალტები უნდა ვიგულოთ. დასკვნა ასეთია, ამ წყვილში ფრანგების გამარჯვებაა ლოგიკური.

მერე? რა მოხდება მერე? ჯერჯერობით ამის თქმა მკითხაობას დაემსგავსება, ჩვენ კი მხოლოდ დღევანდელი დღისთვის თვალის მსუბუქი გადავლება გვქონდა მიზნად დასახული და არა კარტის გაშლა თუ ყავის ჭიქის გადაბრუნება. ხვალისა ხვალემ იკითხოს, დღეს კი ტელევიზორები ჩავრთოთ და დიდი ევროპული შოუს საცქერლად მოვემზადოთ.

ილია ბაბუნაშვილი



მრავალს დაესწარი!



პაოლო მალდინი

იტალია

28

იტალიელთა კაპიტანს პაოლო მალდინის ხასიათს, ალბათ, ვერც საიუბილეო ღრეობა გამოუკეთებს. მილანელთა ვარსკვლავი ამ ჩემპიონატზე ისე გააბიაბრუეს, ვითომაც არაფერიო. თან ვინ? — ბოლოდროს უსახელო ჩეხებმა. პაოლომ გერმანელებთან კი ძლიერ მოინდომა ვაჟიშვილის შეძენა კარგ ხასიათზე მყოფს აღენიშნა, მაგრამ ეს რომ ველარ მოახერხა თქვენც კარგად გეცოდინებათ. მიუხედავად ყველაფრისა ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ დაბადების დღე სახლში წასულთათვისაც მოგველოცა. დღეს მათ შორისაა ძე ჩეზარესი. აფსუს...



გოგი ახვლედიანის

# მსაჯი რომ პირველი კაცი იქნება...

გასული კვირის ერთ-ერთ „სარბიელში" მსაჯთა შეცდომები იყო ჩამოთვლილი და სათაურად თბილისური ლანძღვა ჰქონდა — მსაჯო, შე მამამავალოო. „ფეხბურთი შინ დაბრუნდაო", — ასეთი ლოზუნგი მოუგონეს ინგლისელებმა ევროპის ჩემპიონატს.

შინ დაბრუნებული ფეხბურთს საუცხოო სტადიონები დაახვედრეს. „ეს ენფილდიო", „ვილა პარკიო", „ოლდ ტრეფორდიო", „უემბლიო".

დაახვედრეს განთქმული ენამწარე მედია და ინგლისური ლუდი.

„ფეხბურთი შინ დაბრუნდა", მაგრამ დიდად განსხვავებული იმისგან, როგორიც ამ კუნძულიდან წავიდა ასი წლის წინ.

ინგლისში დაბრუნებული ფეხბურთი ის თამაში აღარ არის ლანკაშირელმა და მერსისაიდენმა ჯეელებმა რომ წამოიწყეს. მე თუ მკითხავთ, ამას ძნელად რომ თამაში დაერქვას, იმიტომ რომ თამაშში მთავარი მოთამაშეთა არსებობაა.

არსებობა კი არა, თამაშში მთავარი სწორედ რომ მოთამაშეა.

ბოლო დრომდე, ყოველ შემთხვევაში, ასე იყო (ეს აღვნიშნე კიდეც კანტონას მისამართით დაწერილ სვეტში).

და რა ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში?

ამ მხრივ, კარგი არაფერი.

ევრო-96 გვიჩვენებს, რომ ფეხბურთში (რაც ოდესღაც თამაშად იწოდებოდა) მოთამაშეს დიდი აღარაფერი მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, მას ევალება ირბინოს და მწვრთნელის ფორმულების კითხვა-გაგება იცოდეს.

მთავარი ფიგურები მოედანზე მწვრთნელი და მსაჯი გახლავან. რაზან მწვრთნელებლისა უკვე ნათქვამი გვაქვს, ახლა მსაჯებისთვისაც გავიმეტეთ ორიოდ სიტყვა.

ასე მგონია, რომ მსაჯები მას შემდეგ გადიდგულდნენ, რაც ჭრელი პერანგები ჩამოურიგეს. საკვირველია. პირდაპირ, რაგბის მსაჯებს სულ ჭრელი პერანგები აცვიათ და ასე არ გაყოყოჩებულან.;

ევროპის ჩემპიონატზე ფეხბურთის საქმე ასეა — შენ თუნდა თავი მოიკალი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი მსაჯია. უნდა ბურთს გამოილებს კარიდან, უნდა პენალტს დადებს, უნდა არ დადებს, ზოგ ოფსაიდს დაინახავს, ზოგს ვერა. ჯარიმაზე თვალებს მოჭუტავს, სათამაშო სიტუაციას წაახდენს, პირველივე წუთზე ყვითელსა გკრავს, გასაგდებს დატოვებს, დასატოვებელს გააგდებს და ასე დაუსრულებლად.

ეს ამბავი გამორჩევით მას შემდეგ გახდა თვალში საცემი, რაც ინგლისის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა. თვითმხილველებმა ინგლისელთა კარში გატანილი ერთი წესიერი გოლის და ორი მაინც უპირობო პენალტის შენიშვნა მოახერხეს, და ატყდა ხმაური — აი, ინგლისს ქაჩავენო, ყოველთვის ასეო და ა. შ. ახლა მე მაინტერესებს, ინგლისს მაშინაც ქაჩავდნენ სქოთებთან პენალტი რომ დაუდეს? თუ ბულგარელებს ქაჩავდნენ რუმინელების წინააღმდეგ, ან ესპანელებს ბულგარელების დროს, ანდა ფრანგებს ჰოლანდიელებთან თამაშში, როცა ნარინჯისფერებს ჯარიმა აჩუქეს, ასპროცენტიანი პენალტის სანაცვლოდ, თუ გერმანელებს ხორვატების წინააღმდეგ ზამერის გოლამდე ჯარიმა რომ ვერ დაუნახეს, თუ იმავე ესპანელებს, ინგლისის წინააღმდეგ სტოუნს რომ წიხლი სცეს მუხლისთავში?

მოკლედ, ყველას ქაჩავენ ცალ-ცალკე და ერთად. ფსიქოლოგიის ამბავში უფრო მომგებიანია იმის ძახილი „მასპინძლებს ქაჩავენო", მაგრამ ამით ჩემპიონატის უმთავრესი პრობლემა, საზიზღარი, თავნება, აუტანელი და თამაშის წამახდენელი პრობლემა, არ გადაწყდება.

ეჭვი მაქვს, რომ თავგასულ მსაჯებს დიდი უფროსობა აფარებს ხელს. აბა სხვანაირად როგორ იქნება?

როდის ყოფილა მსაჯი ფეხბურთის იმპერატორი? ესენი მსაჯები კი არა ვიშინსკის ნაშიერები ყოფილან.

ნახავთ, ამ ნახევარფინალში რასაც დაატრიალებენ. ბარათებს ხომ პირდაპირ ისე არიგებენ, რომ „ივერიის" კაზინოს კრუპიები გეგონებათ.

მაგრამ ბარათებს ვინ ჩივის.

ეჰაა.. მსაჯი რომ პირველი კაცი იქნება მინდორზე...

# „ოდიშს“ მეკარე არ უნდა?

ზუგდიდის ფეხბურთის მესვეურებმა, ძლიერი კლუბის ჩამოყალიბებას რომ აპირებენ და საამისოდ არაფერს იშურებენ, უკვე გადაიბირეს სოსო ჭედია, მამუკა ფანცულაია, ყოფილი შევარდენულები მამუკა ჯიქია და გელა კვიტატიანი. ოდიშელებს თბილისელ ლევან ბერიშვილისთვისაც დაუდგამთ თვალი, მაგრამ მისი მონახულება დაჰგვიანებიათ და ლევანი „მარგვეთს“ წასულა. ისე, ცოტა უცნაური კია, თუ ბერიშვილი უნდოდათ, იქ, ზუგდიდში არ ჰყავდათ, უსახსრობით შეწუხებული რომ გამოაქციეს. ზუგდიდელები ამჟამად გამოცდილი, კარგი მეკარის ხელში ჩასაგდებად ირჯებიან, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ახერხებენ და ყველაზე უფრო ამ პრობლემას შეუფიქრიანებია ისინი. თავიანთი ყოფილი მეკარის გელა ჭანტურიას იმედი კი ჰქონდათ, მაგრამ იგი ამჟამად „დინამოში“ ირიცხება და არც არის მოსალოდნელი, კლუბმა გაუშვას.

სამწუხაროდ, ჭანტურიას ვარიანტი თითქმის გამორიცხულია — გვითხრა ზუგდიდელმა კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა — არადა, კარგი მეკარე, მოგეხსენებათ, გუნდის ნახევარია და ასეთი არც ჩვენ გვაწყენდა. ორი კანდიდატურა გვყავს შერჩეული: მრეტელი დათო ჯანელიძე და სამტრედიელი გრიგოლ ჭანტურია. ამ ორიდან ერთიც თუ დავიყოლიეთ, მერე არა გვიშავსო...

კლუბის გენერალურმა მდივანმა გენო ქარდავამ ფეხბურთის ფედერაციას წარუდგინა ქაღალდები, საიდანაც ირკვევა, რომ ზუგდიდის გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში ამიერიდან „ოდიშის“ სახელით გამოვა.

„ოდიშის“ მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ გვითხრა:

— ახლა უპირველესად მეკარე გვჭირდება, დანარჩენ ამპლუებში მოთამაშენი საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან. ახალი სეზონისთვის სამზადისს საკმაო ხანია შევუდექით. ჯერ ზუგდიდში ვვარჯიშობთ, მაგრამ, არ არის გამორიცხული, ახალ სეზონამდე ორკვირიანი შეკრებაც მოვაწყოთ მარანში. მოკლედ, „ოდიში“ მეორე ჩემპიონატში ბევრ სიურპრიზს შემოგთავაზებთ.

# პრეზიდენტი ინგლისშია

გუშინ თბილისიდან ფრანკფურტს გაფრინდა ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. ამ ქალაქზე გავლით იგი მიემგზავრება ინგლისს ევროპის ჩემპიონატის დარჩენილი თამაშების სანახავად და უეფას კონგრესზე დასასწრებად. ბატონი ახალკაცი თბილისში 6 ივლისს დაბრუნდება.

# ნემსაძე და ჯამარაული „დინამოში“?

თბილისის „დინამო“ 6 ივლისს კენჭისყრის მოლოდინშია. ამ დღეს გახდება ცნობილი ჩვენი ჩემპიონის მეტოქის ვინაობა უეფას თასის პირველ ეტაპზე 17 და 23 ივლისს. მანამდე კი, როგორც „დინამოს“ დირექტორატიდან გვაცნობეს, არ არის გამორიცხული, ევროთასებზე გუნდს ძველი დინამოელები, გიორგი ნემსაძე და გოჩა ჯამარაული შეეშველონ. ამ ორი საუკეთესო ნახევარმცველითან მოლაპარაკების შედეგს უახლოეს დღეებში გაცნობებთ.

# ირანიდან უალაფოდ

ქუთაისის „ტორპედო“ რომელიც ჯერაც არ შეკრებილიყო ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად, ამასწინათ ირანში მიიწვიეს. „ტორპედომ“ თავისი 7 კაცი მოაგროვა მხოლოდ, დანარჩენები კი ქუთაისის ახალგაზრდულ გუნდ „რწმენიდან“ დაიმატა. როგორიც სამზადისი ჰქონდათ, თამაშიც შესაბამისი გამოუვიდათ ირანულ ტურნირზე ქუთაისელებს. მათ 2:5 და 0:3 წააგეს ადგილობრივ კლუბებთან და ასე შერცხვენილნი დაუბრუნდნენ რიონისპირა ქალაქს. ერთადერთი ფეხბურთელი, ვისაც გუნდის მწვრთნელი გიორგი აბზიანიძის თქმით, კარგად უთამაშია, კახა კვეტენაძე ყოფილა. მარტო მას კი გასჭირვებია საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდიდან გამარჯვებულისთვის კუთვნილი 30 000 დოლარის „ტორპედოს“ ანარიშზე დარიცხვა.

ქუთაისელები ვერც არაობიექტურ მსაჯობას მოიმიზეზებენ, რადგან, ისევდაისევ მათი თქმით, მსაჯობა საოცრად სამართლიანი ყოფილა.

# მშვიდობით, „მეტალურგო“

განვლილი ჩემპიონატის ბოლო ტურში ზესტაფონელებთან შინ დამარცხებამ რუსთავის „მეტალურგი“ შავ დღეში ჩააგდო. ახლა საქმე ისაა, რომ „მეტალურგის“ წლევანდელი შემადგენლობიდან ბევრი მოთამაშე გუნდის დატოვებას აპირებს. შევიტყვეთ, რომ ალექსანდრე რეხვიაშვილი, დათო ჩალაძე და ზაზა ზირაქიშვილი ისრაელში მიდიან, გასარკვევი ისღაა, რომელ გუნდში ითამაშებენ — ბერშევასი თუ რიშელიციონისა. პირველი ისრაელის დასრულებულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, მეორემ კი მეოთხე ადგილი დაიკავა.

თუ „მეტალურგში“ პირობები არ იქნება, მეკარე გუბაზ დოლიძესაც განუზრახავს სხვა გუნდში და, ალბათ, სხვა ქვეყანაში წასვლა. ყოველ შემთხვევაში, მეკარე, რომელმაც ეს სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა, ალბათ, არ დაიკარგება.

# ინტერტოტოს თასი

INTERTOTO CUP

**I ჯგუფი**
ოლბორგი — ჰაპოელი 5:4

**III ჯგუფი**
ერებრუ — კეფლავიკი 3:1

**IV ჯგუფი**
ზაგლებიე — რიედი 2:1

**V ჯგუფი**
კაუნასი — ლილესტრიომი 1:4

**VI ჯგუფი**
ერგრეტე — ლუცერნი 3:0

**VII ჯგუფი**
ბაზელი — შახტიორი 2:2

**IX ჯგუფი**
ტრნავა — ჩუკარიჩკი 3:0

**X ჯგუფი**
გრონინგენი — გაზიანთეფსფორი 1:1

**XI ჯგუფი**
ჰიბერნიანსი — ურალმაში 1:2
ქოჯაელისფორი — ცსკა 1:3

მინსკის „ატაკა-აურასა“ და ვოლგოგრადის „როტორს“ შორის გუშინწინ გამართულ შეხვედრას ქართველ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურა. არბიტრს ლანჩხუთელ ოთარ გუნთაძეს კასპელი გურამ ასკარ-ოღლი და თბილისელი ვახტანგ ჩოჩიშვილი ეხმარებოდნენ.

# ქალები და ქულები

## საბჭოთა გუნდის მეთორმეტე მოთამაშე

საბჭოთა პროპაგანდის მიხედვით ყოველგვარი საშინელება, რა თქმა უნდა, კაპიტალისტურ სამყაროში ხდებოდა. ახლა კი რუსული პრესა სამამულო სპორტში არსებული მანკიერებების გამოაშკარავებასაც არ ერიდება. რამდენიმე ხნის წინ მწვრთნელმა არსენ ნაიდენოვმა აღნიშნა, რომ მრავალი მატჩის ჩაწყობა ქალების საშუალებით ხდება — ჩაუგორებენ მთავარ მსაჯს ქალს და იგიც ზრუნავს ამ გუნდისთვის სასურველ შედეგზე. ამ განცხადებას მსაჯების აღშფოთება მოჰყვა — ტყუილად გვწამებს ცილს, ასეთ რაღაცას შეიძლება ადრე აქა-იქ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ახლა აღარაო. ჟურნალ „სუპერმენიდან“ გთავაზობთ სტატიას, რომელიც ამ პრობლემას ეხება.

„ლარისა... სილამაზის კონკურსებში მონაწილეობაზე მას უარს არავინ ეტყოდა: ქერათმიანი, ცისფერთვალება, მაღალმკერდიანი — სექსუალური მომხიბვლელობის უნივერსალური ნიმუში. მე ლარისას 100 დოლარი შევთავაზე, თუ იგი სანაცვლოდ ყველაფერს გულახდილად მომითხრობდა.

— მკითხეთ და ვნახოთ...

— **ჯერ საკუთარ თავზე მიამბე.**

— სკოლაში ასე მე-8 კლასში რომ ვიყავი, „კრილია სოვეტოვს“ ფანატი გავხდი (საუბარი სამარის „კრილია სოვეტოვზეა“). ბიჭებთან ერთად „კრილიას“ ყველა თამაშს ვესწრებოდი. საინტერესო ცხოვრება მქონდა, თუმცა მშობლებთან ბრძოლა მიხდებოდა. ძალიან მკაცრი მშობლები მყავს. ერთხელ მოსკოვში „კრილიამ“ „ლოკომოტივთან“ ფრედ ითამაშა. თამაშის შემდეგ, ფეხბურთელებს რომ ველოდებოდით, მწვრთნელი მოგვიახლოვდა, მადლობა გვითხრა გულშემატკივრობისთვის და მოგვცა ფული, რომლითაც ლუდი და ბუტერბროდები მივირთვით. მერე კი მე მითხრა: „შენ ჩვენი გუნდის თილისმა უნდა გახდე. წამოდი ერთად ვივახშმოთ და სამარაშიც ერთად გავფრინდეთ, თვითმფრინავში შენთვის ადგილი გვექნება“. მე ჯერ არ მინდოდა ბიჭებს გადავხედე, მაგრამ მათ ნება დამრთეს: „გაფრინდი გუნდთან ერთად ჩვენ არ გვეწყინება“.

— **რამდენი წლის იყავი მაშინ?**

— თექვსმეტის.

— **ინტიმურ კავშირში უკვე იყავი ვინმესთან?**

— არა, ჩვენ, „კრილია სოვეტოვის“ ფანატებს, ერთმანეთთან მხოლოდ მეგობრული დამოკიდებულებები გვაკავშირებდა. თუმცა, ერთ ბიჭს ვუყვარდი. მეუბნებოდა, ჯერ პატარა ხარ, რამდენიმე წელიწადში ცოლად შეგირთავო.

— **მერე?**

— გუნდთან ყოფნა ძალიან საინტერესო გამოდგა. რესტორანში ვივახშმეთ. ყურადღების ცენტრში ვიყავი, მაგრამ არშიყობა არავის დაუწყია. შინ ჩვენი ქარხნის თვითმფრინავით დავბრუნდით. სამარაში გვიან ჩამოვფრინდით. მწვრთნელმა მითხრა, ჩვენთან, ბაზაზე დარჩი, დილით კი სახლში გაგიყვანო. მოვედით ბაზაზე, ცოტა დავლიეთ... მოკლედ... ასე მოხდა. მწვრთნელი არ მომწოლია. თვითონ ვიყავი აღფრთოვანებული და დავთანხმდი.

— **მოგეწონა ეს მწვრთნელი?**

— კი. მხიარული და კეთილია. საერთოდ, საფეხბურთო გუნდებში მხიარული ატმოსფეროა. სულ ვიცინოდი, ძალიან მომწონდა. მწვრთნელები უფრო მომწონდნენ, ვიდრე ფეხბურთელები. ისინი უფრო ლაღები არიან.

— **ბევრ მათგანთან იყავი?**

— არა. მხოლოდ იმ მწვრთნელთან და არც თუ ისე ხშირად. მან „ადიდასის“ სპორტული კოსტუმი მაჩუქა. საზღვარგარეთიდან ჯინსები ჩამომიტანა — ლურჯი და შავი.

— **მსაჯებს სად გაეცანით?**

— ერთ-ერთ პატარა რესტორანში. სამარის „კრილია სოვეტოვის“ მწვრთნელი, ორი მოსკოველი მსაჯი, მე და კიდევ ერთი გოგო ვვახშმობდით. ნახევარი საათის მერე მწვრთნელი მეუბნება: „ამ მსაჯს შენ მოსწონხარ“. „მერე რა?“ — ვეუბნები. მწვრთნელმა ამოიოხრა: „ლარისა, „კრილიას“ საქმე ცუდად აქვს, ქულები გვჭირდება“. მეც წავედი მსაჯთან.

— **ასეთი შემთხვევა ხშირად მეორდებოდა?**

— არა, ერთხელ ან ორჯერ თვეში. ხანდახან სამი თვე არაფერი ხდებოდა.

— **შენ ყოველთვის თანხმდებოდი?**

— ყოველთვის.

— **გაძალებდნენ?**

— ამაზე არ ვფიქრობდი. გუნდს ხჭირდებოდა — ესე იგი, უნდა გამეკეთებინა.

— **მსაჯები ფულს გიხდიდნენ?**

— არა და არც ავიღებდი. იმ პირველ მსაჯს, მოსკოველს შევუყვარდი კიდეც. რამდენჯერ ჩამოფრინდა სამარაში — თამაშზე კი არა, ჩემთან. მეც ვიყავი მასთან მოსკოვში ოთხი დღით.

— **მოგწონდათ მსაჯები?**

— ნორმალური მამაკაცები იყვნენ — 30-40 წლისანი? აქტიურები, ყოველთვის ფორმაში რომ არიან, ისეთები.

— **რამე განსაკუთრებულს არ გთავაზობდნენ?**

— არა. ვიცი, სხვა გოგოებს მოსწონდათ ერთდროულად ორთან ყოფნა, მე ასეთი გარყვნილება არ მიყვარს. თქვენ არ იფიქროთ, რომ მე „ისეთი“ ვარ.

— **შენმა მეგობრებმა იცოდნენ, რას აკეთებდი?**

— ამ კითხვებზე არ ვიპასუხებთ.

— **მსაჯთან ყოფნა ყოველთვის სექსით მთავრდებოდა?**

— ყოველთვის, რა თქმა უნდა. პირდაპირ ლოგინისკენ კი არ გამაქანებდნენ, ჯერ ვსაუბრობდით, ვხუმრობდით. ისე, უნდა ითქვას, ყველანი ზრდილობიანები იყვნენ, ბევრს არ სვამდნენ, მათზე ცუდად ვერაფერს ვიტყვი.

— **როცა თამაშს ესწრებოდი, ხვდებოდი, რომ კაცი, რომელთანაც ღამე გუშინ გაატარე, შენს გუნდს ეხმარება?**

— ამას ხშირად არც ვუკვირდებოდი. თუმცა, როდესაც მსაჯი მოწინააღმდეგის კარში საეჭვო პენალტს ნიშნავდა, მიფიქრია: „ეს ჩემი დამსახურებაა“

— **ამაყობდი?**

— არ ვიცი. ალბათ, ვამაყობდი.

— **ახლაც ხარ გუნდში?**

— არა. მწვრთნელი, რომელმაც გუნდში ამიყვანა, სხვაგან გადავიდა.

— **რაც მოჰყევი, ყველაფერი მართალია?**

— ოთხმოცდაათი პროცენტით — კი.

**გრიგორი იუშმანოვი**

ჟურნალი „სუპერმენი“




კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ისე გადარიცხვით
გარანტია 1 წელი
გარანტიის შემდგომი მომსახურება
☎ 93-91-03
37-12-96
შპს კომპიუსი

იყიდება მე-19 საუკუნის ბოლოს, სამეფო კარის ცნობილ ოსტატ იული ჰენრიხ ციმერმანის მიერ აწყობილი საოჯახო ორღანი (CROWN ORGAN).
ფასი 3 500 დოლარი.
ცნობებისათვის დარეკეთ:
39-48-29; 93-16-08

იყიდება
თეთრი, გამჭირვალე ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)



სარბიელი
ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი
26 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი — ჩეხეთი | (1,4-2,3) | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ინგლისი — გერმანია | (1,4-2,3) | 1,7 | 3,0 | 3,1 |

ფრჩხილებში მითითებულია ფინალში გასვლის, ხოლო უფრჩხილებოდ — ძირითადი დროის კოეფიციენტები

ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 1,7 | საფრანგეთი | 3,5 |
| გერმანია | 2,5 | ჩეხეთი | 6,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში 13-დან 16 საათამდე
საღამოს საათებში „კროკო“ იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

# ჩოგბურთი

# დიდ ამერიკელთა მოსხეპვის დღე

რაც უიმბლდონი „ღიად“ გამოცხადდა, ე. ი. პროფესიონალები დაუშვეს, მეორედ მოხდა, რომ პირველი დღის შემდეგ მოწინავე რვა განთესილი ვაჟიდან ნახევარი უკვე თამაშგარეა. საქმე ისაა, რომ შეჯიბრებას დაწყებამდე გამოაკლდა ავსტრიელი თომას მუსტერი (7), ხოლო სამი უცნობილესი ამერიკელი — ანდრე აგასი (3), მაიქლ ჩანგი (6) და ჯიმ კურიე (8) საწყისსავე შეხვედრებში გააგდეს ნაკლებად ცნობილმა მეტოქეებმა. რაკი ბოლო სამი წლის უცვლელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა პიტ სამპრასმა (1) მოიგო და მეორე წრეში გავიდა, მუსტერი და აგასი კი უკვე გამოეთიშნენ შეჯიბრს, პიტი მსოფლიოს პირველ ჩოგნად უიმბლდონის დამთავრებამდე დარჩება, საცხრილო ქულებით იმდენად უსწრებს ლონდონური შეჯიბრის სხვა მონაწილეებს.

პირველი დღე
ორშაბათი, 24 ივნისი

გრილოდა და ცრიდა. მთავარ კორტზე თამაშის პატივი პირველს შარშანდელ ჩემპიონს — სამპრასს ერგო, მერე კი მონიკა სელეშს, ვისაც ამ მოედანზე უკანასკნელად 1992 წელს ეთამაშა, როცა ფინალი შტეფი გრაფთან წააგო. მოგეხსენებათ, შემდეგ გაზაფხულს მონიკა დაჭრეს და შარშან ივლისშიღა დაუბრუნდა ასპარეზს.

პიტ სამპრასი (აშშ, 1) — რიჩი რენებერგი (აშშ) 4:6, 6:4, 6:3, 6:3. რენებერგი დევისის თასის ნაკრების წევრი და წყვილად თამაშის სპეციალისტია. ევროპაშიც კარგად იასპარეზა ბალახზე და ერთი კვირის წინ როზმალენის ტურნირიც მოიგო, გაუმართავს. სხვაფრივ, სატელიტურ ტურში ასპარეზობდა და უიმბლდონის შესარჩევი შეჯიბრის მოგებით 2 205 დოლარიც მოიხვეჭა, რაც 6-ჯერ ნაკლებია იმ თანხაზე, რასაც უიმბლდონის პირველ წრეში მოგებისათვის მისცემენ.

ფლექს უიმბლდონის წილისყრისას კურიოზი შემთხვევია. როცა მოხელეს უკითხავს, თავად ამოიღებ კენჭს თუ მე მანდობო, დაგს უპასუხნია, ეგ საქმე ცუდადა მაქვს დაცდილი და უთუოდ აგასის გადავეყრებიო. მართალია, ასეც მოხდა, მაგრამ ფლექმა ისეთი ჟიგრით ითამაშა, რომ 22 ეისი მოაწოდა, ერთხელ კი კარიერაში პირველად გაერთხა ბალახზე, ბურთი მოიგერია, შემდეგ ჯერზე კი პაერიდან დაარტყა და ულამაზესი ქულაც მოიგო.



## შერცხვენილთა გალერეა

წინა კვირაში კი ჰალეში ნახევარფინალამდე მიაღწია.

სამპრასი, პირიქით, ერთობ მოკლებული იყო საშეჯიბრო პრაქტიკას და როგორც თავად აღიარა, ყოველთვის უჭირს მთავარი კორტის გახსნა, ვინაიდან ახალ ბალახზე ფეხი უცურავს ხოლმე.

მონიკა სელეში (აშშ, 2) — ან გროსმანი (აშშ) 6:1, 6:2. მონიკას ხალხმა თამაშამდეც და მის მერეც დიდი ოვაცია გაუმართა, მაგრამ მაინც ისე ღელავდა, რომ ერთ მომენტში ჩოგანი ხელიდანაც კი გაუვარდა, რაც თურმე მანამდე არასოდეს დამართნია. და მაინც, მატჩი 50 წუთში დასრულდა.

ანდრე აგასი (აშშ, 3) — დაგ ფლექი (აშშ) 6:2, 6:7 (1-7), 4:6, 6:7 (6-8). 26 წლის ლას-ვეგასელი პლეი-ბოი აგასი თანდათან უფსკრულში ეშვება. წინათ დიდი სლემის სამი ტიტული კი მოუგია და ერთი ხანობა მსოფლიოს პირველი ჩოგანიც იყო, მაგრამ წელს ცუდად თამაშობს: ავსტრალიაში მეორე კვირამდე ვერ მიატანა, საფრანგეთში მეორე წრეშივე გავარდა, ბერიც იგინა და არც პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, ბოლო სამ თვეში კი სულ ხუთი თამაში გამართა და მათგან სამი წააგო.

ანდრეს, როგორც ყოველთვის, თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი რაზმი ახლდა. მათ თავიანთი კერპის გასამხნევებლად ძალა არ დაუშურებიათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ: აგასი ვილაც „ქვოლიფაიერმა“ დაამარცხა „ჩემპიონთა სასაფლაოდ“ ცნობილ მეორე კორტზე, სადაც წინათ ადრეულ სტადიებზევე მოსცარვიათ ხელი მაკინროუს, კონორსს, ნასტასეს და რომელიც ეგზომ არ მოსწონს ანდრეს: აკი კიდეც უთქვამს, ამ მოედანს ისეთი უხეირო განლაგება აქვს, რომ კუთხეში თუ დადგები, ხაზს ვერ დაინახავო.

აგასი ერთობ უხალისოდ ირჯებოდა. თუმცა გვარიანად გაიოფლა, კეპი ერთხელაც არ მოუხდია თავიდან. ტანისამოსიც გრძელტოტა და ისე მხუთავი ეცვა, რომ მოძრაობაში უთუოდ შეუშლიდა ხელს, თუმც რას გააწყობდა, თუკი მის შემკერავთან კონტრაქტი აქვს დადებული. კოხტა-პრუწა ჩოგბურთელს მაჯას ჭყეტელა ყვითელი საათი უმშვენებდა. თუ იმასაც შევნიშნავთ, რომ წელს უიმბლდონში ციალა, ლიმონისფერი ბურთებით თამაშობენ, ერთ დროს მთლად თეთრი მსოფლიო ჩოგბურთის ტაძარი აგასის გადამკიდე მთლად აყვითლებულა.

აგასი დაამარცხა მსოფლიო კლასიფიკაციაში 281-ე ადგილზე მყოფმა 25 წლის დაგ ფლექმა, ვინაც იმითაა ცნობილი, რომ მის უფროს ძმა ქენს უიმბლდონში ორგზის გაუმარჯვნია წყვილთა შეჯიბრში. შარშან დაგი წუსხაში დაახლოებით მე-600 ყოფილა, ვაჟ პროფესინალთა ასოციაციის (ატპ) ტურზე კი ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთადერთი (?!) თამაში

მაიქლ ჩანგი (აშშ, 6) — ალბერტო კოსტა (ესპანეთი) 6:3, 6:7 (5-7), 6:7 (1-7), 4:6. კოსტა თიხაზე თამაშის სპეციალისტია, ერთ-ერთი ფავორიტის ძლევით კი ბალახზე კარიერის პირველი გამარჯვება მიითვალა.

ჯიმ კურიე (აშშ, 8) — ჯონათან სთარქი (აშშ) 2:6, 4:6, 6:2, 4:6. რენებერგისა არ იყოს, სთარქიც მაგარი მეწყვილე და თანაც კურიეს ძველი დოსტია. ერთადაც თურმე ხშირად ვარჯიშობენ, რის გამოც პირველ წრეში შეხვედრა არ გახარებიათ. კურიეს სამი წლის წინ უიმბლდონში ფინალისათვის მიუღწევია, სთარქმა და მარტინა ნავრატილოვამ კი შარშან აქვე შერეულ წყვილთა შეჯიბრი მოიგეს. სთარქს კურიე აქამდე ერთხელ დაემარცხებინა, მაგრამ მასთანვე ორჯერ წაეგო. კურიემ მეოთხე ხელის ბოლოს მტკივანი ფეხი მეტადაც დაიშავა და თავი იმითლა ინუგეშა, ახლავე რომ გავვარდი, ტრავმას მოვიშუშებო.

არნო ბეჩი (საფრანგეთი, 15) — ალექს რადულესკუ (გერმანია) 3:6, 4:6, 7:6 (7-2), 7:5, 7:9. რადულესკუ 91-ე ჩოგანია, ბეჩი კი მეხუთე გავარდნილი განთესილი.

სტეფან ედბერგი (შვედეთი, 12) — გი ფორჟე (საფრანგეთი) 7:6 (7-5), 5:7, 6:2, 6:2. 30 წლის ედბერგი ორგზის ჩემპიონია. ხალხმა იცის, რომ შვედი წელს ბოლო, მე-14 უიმბლდონს თამაშობს. ამიტომაც მხურვალედ დაუჭირა მხარი.

ვაჟთა სხვა საგულისხმო ანგარიშები: ბორის ბეკერი (გერმანია, 2) — ჟან-ფილიპ ფლერიანი (საფრანგეთი) 6:0, 6:2, 6:3; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) — დევიდ ნენკინი (სამხრეთი აფრიკა) 6:2, 6:0, 6:2; რენცო ფურლანი (იტალია) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:4, 3:6, 4:6, 6:2, 6:2; თოდ მარტინი (აშშ, 13) — მარკუს ონდრუშკა (სამხრეთი აფრიკა) 6:3, 6:4, 6:3; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ხავიერ ფრანა (არგენტინა) 7:5, 4:6, 6:3, 6:2. ბეკერმა რომ მოიგო, თქვა, ფეხბურთის ფრიად ვგულშემატკივრობ და აქ იმად ვარ, ჩვენებს ინგლისთან რომ გავამარჯვებინოო. რაც შეეხება ნორჩ ფილიპუსისს, მან ავსტრალიის ღია პირველობაზე უკვე გააგდო სამპრასი და ახლა მეორე წრეში მასვე ეთამაშება, რისაც სამპრასს, წესითა და რიგით, უნდა ეშინოდეს.

**ქალთა** ტურნირს დაწყებამდე გამოაკლდა ჩანდა რუბინი (აშშ, 7), ვინაც მაჯა იტკინა. სხვა საყურადღებო თამაშები ასე დასრულდა: კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — სილვია ფარინა (იტალია) 6:0, 6:0; მარი პირსი (საფრანგეთი, 13) — პატი შნაიდერი (შვეიცარია) 6:3, 6:2; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 10) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:2, 6:1; ჯიჯი ფერნანდესი (აშშ) — ტატიანა იაჩმენიცა (იუგოსლავია) 2:6, 6:3, 6:4; კიმიკო დატე (იაპონია, 12) — კიოკო ნაგაცუკა (იაპონია) 6:0, 6:3.

**ირაკლი ნინუა**

# რაგბი



# ერიჰაა!

ერთთვიანი შესვენების წინა ბოლო, XI ტური ტრაგიკომიკური გამოვიდა. ოთხიდან ერთი თამაში არ გამართულა, რადგანაც მის მაგივრად საქმის გარჩევა იყო დანიშნული. კიდევ ერთი მატჩი თუმც ჩატარდა, მაგრამ მისი ლეგიტიმურობის საკითხს რაგბის კავშირის წესრიგის კომისია შაბათსღა განიხილავს. ასე იყო თუ ისე, მისი შედეგი მაინც შევიტანეთ ცხრილში, რამეთუ ამაში მკრეხელური არაფერი შეგვინიშნავს.

**„ა“ ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 11 | 10 | 0 | 1 | 369: 86 | 53- 6 | 20 |
| ყოჩები | 10 | 9 | 0 | 1 | 295: 69 | 40- 4 | 18 |
| აია | 8 | 6 | 0 | 2 | 280: 36 | 34- 4 | 12 |
| გელათი | 11 | 5 | 1 | 5 | 114:202 | 10-28 | 11 |
| ქორები | 10 | 5 | 0 | 5 | 173: 99 | 19- 7 | 10 |
| აზოტი | 10 | 4 | 1 | 5 | 111:152 | 13-20 | 8 |
| ლელო | 11 | 1 | 0 | 10 | 111:343 | 12-50 | 2 |
| დინამო | 11 | 0 | 0 | 11 | 65:479 | 7-69 | 0 |

ცხრილში ჩათვლილი არაა გელათი — ქორების თამაშის ბურთები და ლელოები

**„ბ“ ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 6 | 5 | 0 | 1 | 87:34 | 8-4 | 10 |
| ყოჩები II | 4 | 3 | 0 | 1 | 73:58 | 9-9 | 6 |
| უნივერსიტეტი | 4 | 1 | 0 | 3 | 56:87 | 8-8 | 2 |
| დელფინები | 4 | 0 | 0 | 4 | 26:55 | 2-6 | 0 |

ვასრულებთ ყველა სახის ელექტრო, გაჯისა და სამღებრო („სამალიარო“) სამუშაოებს შეღავათიან ფასებში. ხარისხი გარანტირებულია.

ტელ: 95-74-72 (3 საათის შემდეგ)
იკითხეთ თემური, ბიჭიკო

## საქართველოს XXIX პირველობა

### „ა“ ჯგუფი

21 ივნისი. ვაკე

**დინამო (5) 12-20 (8) აზოტი**

დინამო — 2ლ: 6 მარგველაშვილი, 15 ფალავანდიშვილი; გ: 9 დევნოზაშვილი
აზოტი — ლ: 14 კბილცეცხლაშვილი; 5ს: 10 გოგიშვილი
მსაჯი გოჩა აბაშიძე

მესამე მასივი

**ლელო 17-30 გუმარი**

ლელო — 2ლ: 6 მაისურაძე, 5 ხოჭოლავა; 2გ: 15 აბაშიძე, 14 ანდღულაძე; ს: 3 მეტრეველი
გუმარი — 4ლ: 2 რობიტაშვილი, 13 ჯიმშელაძე, 8 დიდებულიძე, 3 მთიულიშვილი; 2გ: 15 მაჩიტიძე, 10 მოდებაძე; ს, ა: მოდებაძე
მსაჯი გიორგი კურატიშვილი

22 ივნისი. ვაკე

**ყოჩები — აია**

ქუთათურთა გუნდის ნაცვლად თბილისს რაგბის კავშირთან საქმის გასარჩევად მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი, კლუბის პრეზიდენტი თემურ ჩეჩელაშვილი, ჟურნალისტთა მსოფლიო ლიგის წევრი გიორგი ყ.რყოლიანი და მავანი სახალხო მოსამართლე ჩამოვიდნენ. ამ კაცის ვინაობა არ დაგვიზუსტებია იმად, რომ სამსაათიანი სხდომის მანძილზე კრინტიც არ დაუძრავს.

სპორტის დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში 36 კაცი შეიკრიბა. მსაჯულობა იკისრა სამმა პარლამენტარმა. საქმე ისაა, რომ ბატონ დუგლასს ამათს სამსახურში გაეგზავნა დეპეშა, აია ჩემპიონატში აღარ ითამაშებს, ვიდრე პარლამენტი რაგბის კავშირში შექმნილ არა-ჯანსაღ ვითარებაში არ გაერკვევაო.

სხდომას პარლამენტარი მანუჩარ მაჩაიძე გაუძღვა. მან თავიდანვე შენიშნა, რომ რაგბის სამყაროს გასაცნობად მოსულიყო, და მოძმე ფეხბურთელებისგან განსხვავებით ერთობაც შეაქო ოვალურ-ბურთიანი ბურთაობა, აქაო და ქართველი კაცის ბუნებას კარგად ესადაგება, რის გამოცაა, რომ ამდენი წარმატება გვაქვს და ახალ, მშენებარე ქართულ სახელმწიფოსაც ერთობ საჭირო სპორტად უჩანსო.

მაჩაიძე მარტივად, ცხადად და ალალად საუბრობდა. იგი თავიდანვე დაინტერესდა ქართული რაგბის პრობლემებით, რის გამოც საჩივრის განხილვა მინიმუმ ერთი საათით გადაიდო. მერე კაცთა რაგბის პრობლემების მოსმენის ჟჟერიც მოვიდა, მაგრამ მომჩივანმა ქუთათურებმა სიტყვა მაინც აიღეს. კავთელაშვილმა კრებას მოახსენა, ყველაფერს ტელეგრამის მიხედვით განვიხილავო.

დაახლოებით 20 წუთი კავთელაშვილი ბრალმდებლად მოგვევლინა, რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე, წესრიგის კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ჭეიშვილი და „სარბიელის“ წარმომადგენელი კი — ბრალდებულებად. მომჩივანმა სულმოუთქმელად მოიტანა კავშირის მამხილებელი, მეტწილად საკუთარი სამრეკლოდან დანახული ფაქტები; ჩვენი გაზეთიდანაც მხოლოდ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ციტატები მოიტანა, კაცს რომ ყალბ წარმოდგენას შეუქმნიდა, თავად კი პასუხს აღარც დალოდებია, ისე გაუტია ქუთაისისკენ, ტელევიზორით ფეხბურთის სანახავად მიმეჩქარებაო.

[illegible] ლმა და ყორყოლიანმა. ყორყოლიანმა ძველი პარტიული პრესის საზომით შეაფასა „სარბიელის“ სარაგბო პუბლიკაციები და მეგობრულად დაგვტუქსა. რაც შეეხება ბატონ თემურს, მისი გამოსვლა მართლაც მართალი და ქმედითი იყო.

არც აქამდე ყოფილა ვინმესთვის საიდუმლო, რომ წლების მანძილზე სწორედ ეს კაცი ინახავდა გუნდს, მაგრამ ახლა რომ გაუჭირდა, თანამდგომი არავინა ჰყავს. უფრო მეტიც, თვით ქუთაისის ხელმძღვანელობას არად უღირს არათუ რაგბი, არამედ საზოგადოდ სპორტიც.

ჩანდა, რომ პარლამენტელ სტუმრებს ქუთათურთა გამოხდომა არ მოსწონდათ. მათ ვერაფრით გაეგოთ, რატომ უნდა ერჩიათ ან პრესაში გამოქვეყნებული სტატიების ცალკეული პასაჟები, ანაც მსაჯის სადაო განაწესებიანაი. მსაჯულებმა ისიც უთხრეს კავთელაშვილს, ეგებ სპორტის დეპარტამენტს შეექმნა კომისია, სპეციფიურ სარაგბო საკითხებს რომ განიხილავსო.

ასე იყო თუ ისე, ქართულ სარაგბო თემს ამ გამოხდომით ჩირქი მოეცხო. რამდენად გულუბრყვილო და უსაფუძვლო გინდა ყოფილიყო აიელთა საჩივარი, ხოლო დამაჯერებელი და ზოგჯერ გალიზიანებულიც კავშირელთა პასუხი, პარლამენტარებს მაინც შეუჩნდებოდათ ეჭვის ჭია, ემანდ მართლაც ხომ არ ჩაგრავენ ქუთათურებსო.

თუ ეს იყო აიელთა ჩივილის მიზანი, მაშინ შეუძლიათ ჩათვალონ, რომ იგი მიღწეულია. სხვა საქმეა, სამი თამაშის გამცდენი გუნდი როდისღა გაუსწორდება დანარჩენებს. როგორც ქუთაისური რაგბის მეორე, პრო-კავშირული ფრთა ირწმუნება, აია ძალიან მალე ისევ აღარ დაემორჩილება უფროსობას და ჩემპიონატს დაუბრუნდება.

დასასრულ ისიც შევნიშნოთ, რომ ბოლოს ბატონი დუგლასი მოლბა და დაგვიტკბა და თავად გაგვიმხილა, რუსებმა თავიანთი კაცთა ნაკრების კონსულტანტად დამნიშნესო. რაკი ეს გუნდი შემოდგომაზე საქართველოს ნაკრების მეტოქე იქნება, კონტრ-მზვერავის გაჩენა ჩვენებსაც მართებთ: უპრიანი იქნება, თუკი ვთქვათ და პენზის გუნდის მწვრთნელს სთხოვენ რჩევა-დარიგებას, მით უფრო თუ ორი ჩვენი მოთამაშე — ბეირუთ იურინი და გია ლაბაძე მისი შეგირდები არიან.

23 ივნისი. ქუთაისი

**გელათი — ქორები**

ქუთაისს მიმავალ ქორების ავტობუსს საბურავები დასკდომია და თბილისელებსაც საღამოს 8 საათზეღა მიუღწევიათ სტადიონისთვის. მსაჯ გოჩა აბაშიძეს 8-ის ნახევრამდე უცდია ქორებისათვის და რომ დარწმუნებულა, აღარ ჩამოვლენო, თბილისისკენ გამოუწევია. ქორებს გელათიც მიმოფანტული დახვედრიათ, მაგრამ ნანატრ სტუმართა ჩამოსვლა რომ შეუტყვიათ, ქუთაისელი ბიჭები ისევ შეკრებილან. თბილისელთა წინადადებით უმსაჯია გელათის მწვრთნელ ზაზა თხელიძეს. ქუთათურებს დაახლოებით 22:19 მოუგიათ — ოქმი არ არსებობს, ქორები კი ანგარიშს ვერ იხსენებენ სამაგიეროდ, ამტკიცებენ, თამაში ამხანაგური იყო და ამიტომ არ უნდა ჩაითვალოსო.

**ზაზა ფხაკაძე**

„ბ“ ჯგუფი: 23. VI. ბათუმი: დელფინები 6 (3) (ს, ა) — ასკ 14 (5) (ლ, 2ს, ა)

# მძლეოსნობა



# 200 მ: 19,66 წმ

ტეხასელმა მაიქლ ჯონსონმა არ მოისვენა და ოლიმპიადის წინ მაინც გააუმჯობესა უხნესი მსოფლიო რეკორდი, ჯერ კიდევ 1979 წელს, მაღალმთიან მეხიკოსითიში რომ იყო დამყარებული. კვირას, ატლანტაში, ამერიკელ ოლიმპიელთა შესარჩევი ტურნირის ბოლო დღეს ჯონსონმა 200 მეტრი 19,66 წამში გაირბინა, რაც 0,06-ით სჯობს იტალიელი პიეტრო მენეას შედეგს.

ჯონსონმა მენეას რეკორდი შაბათს, ნახევარფინალშიც გააუმჯობესა, მაგრამ მაშინ ზურგქარის ძალა დასაშვებზე მეტი აღმოჩნდა. ამჯერად ეს მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში ჩაეტია. პოდა, რეკორდის დამტკიცებასაც წინ ვერაფერი დაუდგება, მით უფრო, თუ მსოფლიო მძლეოსნობის მამამ, საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, იტალიელმა მაფიოზო დოქტორმა პრიმო ნებიოლომ ჯონსონს პირადად მიულოცა დიდი გამარჯვება, საკუთრივ ოლიმპიადაზე ერთობ რომ უნდა შეეწიოს უმთავრესი კონკურენტის — ნამიბიელი ფრანკი ფრედრიქსის დამარცხებაში.

კვირასვე გაირკვა, რომ ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი 200 მეტრზე სირბილში, ზანგი ქალი გვენ თორენსი (ფოტოზე) წლევანდელ ოლიმპიადაზე მხოლოდ 100 მეტრზე ირბენს, ვინაიდან საზარდულის გაჭიმვის გამო 200 მეტრზე სირბილის ფინალში მეოთხე ადგილზე დარჩა.

**რეზო ნემსაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29